



საქმე №28/4372-16



გ ა ნ ჩ ი ნ ე ზ ა
საქართველოს სახელით

25 ნოემბერი, 2016 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა

თავმჯდომარე - გოგიტა თოთოსაშვილი
მოსამართლეები: ვანო წიკლაური
თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

სხდომის მდივანი - ნინო სოლომნიშვილი

აპელანტი - სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

წარმომადგენელი: გ. ყ.

მოწინააღმდეგე მხარე - ა. მ.

წარმომადგენელი - ა. გ.

დავის საგანი - ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით **ა. მ.-ს** სარჩელი დაკმაყოფილდეს სრულად. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს კულტურული



მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს XX.10.2016 წლის ბრძანება NX/XXX, 2015 წლის 01 ნოემბრიდან ა. მ.-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ნაწილში. ა. მ. აღდგენილ იქნა ნ. ფიროსმანაშვილის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის მმართველის თანამდებობაზე. მოპასუხე სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ა. მ.-ს სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 3300 (სამიათას სამასი) ლარის ოდენობით.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო სახლმუზეუმში წარმოადგენს ცნობილი ქართველი მხატვრის - ნიკო ფიროსმანაშვილის (1852-1918) მემორიალურ კომპლექსს, რომელშიც შედის მხატვრის საცხოვრებელი სახლი დამხმარე ნაგებობებით და 1979 წელს აგებული საგამოფენო დარბაზი და სხვა ნაგებობები.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:
მხარეთა განმარტებები;

2.2. მოსარჩელე ა. მ.-მ ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმში მუშაობა დაიწყო 1968 წელს. 2009 წელს იგი გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან და ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო სახლმუზეუმის მმართველის თანამდებობაზე აღდგენილი იქნა 2013 წელს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:
მოსარჩელის განმარტება;

2.3 ა. მ.-ს თანამდებობრივი სარგო გათავისუფლების დროისათვის (2015 წ. 30 ოქტომბერი) შეადგენდა 720 ლარს და იგი ყოველთვიურად (საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის შემდეგ) ხელზე იღებდა 576 ლარს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა განმარტებები; მოპასუხის საჩივარი; საგადასახადო დავალება;

2.4. საქართველოს პრეზიდენტის 199X წლის XX აპრილის ბრძანებით: „ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმის ჩამოყალიბების, მისი ფონდის გამდიდრებისა და დაცვის საქმეში განსაკუთრებული პირადი წვლილისა და თავდადებული მოღვაწეობისათვის ნ. ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი ა. მ. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.”

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

მოსარჩელის განმარტება; საქართველოს პრეზიდენტის 199X წლის XX აპრილის ბრძანება ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ;



2.5. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 08 ივლისის № 1/157 ბრძანების მესამე პუნქტის საფუძველზე, 2015 წლის 15 ივლისიდან სააგენტოს სტრუქტურაში არსებულ მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალში გამოცხადდა რეორგანიზაცია, რომლის ფარგლებში შრომითი ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე გაფრთხილებული იყო მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების ყველა თანამშრომელი. ამასთან, სააგენტოს გენერალური დირექტორის 14.08.15 წლის #1/190 ბრძანების საფუძველზე #1/157 ბრძანებით გათვალისწინებული ვადა გაგრძელდა 2015 წლის 15 სექტემბრამდე. ხოლო 2015 წლის 15 სექტემბრის #1/221 ბრძანების საფუძველზე კი - 2015 წლის 01 ნოემბრამდე. აღნიშნულ ბრძანებასაც გაეცნო სააგენტოს სტრუქტურაში შემავალი მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალებში დასაქმებული ყველა თანამშრომელი.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 08 ივლისის № 1/157 ბრძანება; მხარეთა განმარტებები;

2.6. 2015 წ. ივლის-აგვისტოს თვეში მოსარჩელე ა. მ.-მ სამსახურებრივი ბარათით მიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, რომელშიც მითითებულია, რომ სახლ-მუზეუმის ნაგებობები საჭიროებენ სარემონტო და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას, საჭიროა მუზეუმისათვის ინვენტარის გამოყოფა, რათა ჩატარდეს გამოფენები, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმის პოპულარიზაციას.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

ა. მ.-ს სამსახურებრივი ბარათი; მხარეთა განმარტებები;

2.7. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წ. 17 აგვისტოს №1/195 ბრძანებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შინაგანაწესის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალის სამსახურის უფროსის ი. დ.-ს მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახ. სახლმუზეუმის მმართველს ა. მ.-ს გამოეცხადა საყვედური სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წ. 17 აგვისტოს №1/195 ბრძანება.

2.8. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის XX ოქტომბრის №X/XXX ბრძანებით ა. მ.-ს შეუწყდა შრომითი ურთიერთობა და იგი გათავისუფლებული იქნა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო სახლმუზეუმის მმართველისათვის თანამდებობიდან 2015 წლის 01 ნოემბრიდან. ამავე ბრძანებით მას მიეცა ერთი თვის ხელფასის ოდენობით კომპენსაცია.



2015 წ. XX ოქტომბრის №X/XXX ბრძანებაში წერია, რომ სააგენტოს თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა ხდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში საშტატო განრიგსა და სტრუქტურაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ო“ პუნქტის და 38-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ა. მ.-სათვის გადაცემული ბრძანების წერილობითი დასაბუთების და მოპასუხის მიერ სხდომაზე მიცემული განმარტებით სასამართლომ დადაგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ო“ პუნქტში მითითებულ გათავისუფლების „სხვა ობიექტურ გარემოებათ, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას“ მოპასუხე მიიჩნევს იმას, რომ „ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმი დღეისათვის წარმოადგენს ყველაზე დაბალშემოსავლიან და ქმედუუნარო სტრუქტურულ ერთეულს. მუზეუმის ხელმძღვანელის მხრიდან უკანასკნელი პერიოდის მანძილზე არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები და არ წარმოდგენილა რაიმე საპროექტო წინადადებები, რომელიც რეალურად მიმართული იქნებოდა მუზეუმის საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს კიდევ მუზეუმის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობას. გარდა ამისა, სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის XX აგვისტოს №X/XXX ბრძანებით, სამსახურეობრივ მოვალეობათა არა ჯეროვნად შესრულების გამო ა. მ.-ს, როგორც ნიკო ფიროსმანაშვილის სახ. მუზეუმის მმართველს, გამოეცხადა საყვედური. ამასთან, სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მუზეუმში მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და ახალი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით უნდა შეცვლილიყო მუზეუმის ხელმძღვანელობა.“

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015წ. XX ოქტომბრის №X/XXX ბრძანება; მხარეთა განმარტებები; წერილობითი დასაბუთება; მოპასუხის საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე;

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.9. სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ავალდებულებს მხარეებს, აღიარონ ყველა მუშაკის უფლება, უარი თქვან დასაქმების შეწყვეტაზე საპატიო მიზეზის გარეშე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე, საწარმოს შინაგანაწესიდან.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებულია უმნიშვნელოვანესი სოციალური უფლება - შრომის უფლება და დადგენილია, რომ შრომა თავისუფალია. შრომის კონსტიტუციური უფლება გარანტირებულს ხდის პირის თავისუფლებას შრომითი საქმიანობის არჩევანში და მის განხორციელებაში. ამასთან, აწესებს სახელმწიფოს ვალდებულებას დასაქმებული მოქალაქის შრომითი უფლებების დაცვაში, რაც უზრუნველყოფილია ორგანული კანონით - საქართველოს შრომის კოდექსით. კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, შრომითი უფლებების დაცვა



განისაზღვრება ორგანული კანონით - საქართველოს შრომის კოდექსით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისი დარღვეული, შეზღუდული, წართმეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა-აღდგენისათვის მიმართოს სასამართლოს. აღნიშნულ პრინციპს ითვალისწინებს ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მიიჩნია რა თავისი შრომითი უფლება დარღვეულად, აღნიშნული უფლების დაცვის მიზნით, სარჩელით მიმართა სასამართლოს.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს შრომის კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით (საქართველოს შრომის კოდექსის 1.1. მუხლი). შრომის ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით (სშკ-ის 1.2. მუხლი).

სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 2.1. მუხლზე, რომლის შესაბამისად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის არსებობდა შრომითი ურთიერთობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ რამდენადაც მხარეთა შორის სადავო არ არის მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათი, განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება არ ექცევა რაიმე სპეციალური კანონით გათვალისწინებულ მოწესრიგების სფეროში და იგი ექვემდებარება შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმებით დადგენილ რეგულირებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილ იქნა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად. საფუძვლად მითითებულია, რომ „ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმი დღეისათვის წარმოადგენს ყველაზე დაბალშემოსავლიან და ქმედუუნარო სტრუქტურულ ერთეულს. მუზეუმის ხელმძღვანელის მხრიდან უკანასკნელი პერიოდის მანძილზე არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები და არ წარმოდგენილა რაიმე საპროექტო წინადადებები, რომელიც რეალურად მიმართული იქნებოდა მუზეუმის საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ. გარდა ამისა, სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის XX აგვისტოს №X/XXX ბრძანებით, სამსახურეობრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო ა. მ.-ს გამოეცხადა საყვედური. ამასთან, სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ



მუზეუმში მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და ახალი ღონისძიების დაგეგმვის მიზნით უნდა შეცვლილიყო მუზეუმის ხელმძღვანელობა.”

სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ პუნქტზე, რომლის მიხედვით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე „სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.”

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით მხარეთათვის მინიჭებული ხელშეკრულების მოშლის უფლება არ არის შეუზღუდავი და იგი ყოველთვის შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას. სასამართლოს უპირველესი ამოცანაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას.

სასამართლომ განმარტა, რომ შრომითი დავის განხილვისას სასამართლომ უნდა შეაფასოს, დაირღვა თუ არა მხარეთა უფლებები, უნდა დადგინდეს დაირღვა თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ხომ არ განხორციელდა დისკრიმინაცია და ა.შ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, შრომის ურთიერთობების შეწყვეტა განხორციელდა არამართლზომიერად, საამისო კანონით დადგენილი საფუძვლის გარეშე. გასაჩივრებულ ბრძანებაში მითითებულ სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით შრომის კოდექსის 37.1 მუხლის „ო“ პუნქტის გამოყენება მართლზომიერი უნდა იყოს და ამასთან, ნაკარნახევი ობიექტური აუცილებლობით. შესაბამისად, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტი არ შეიძლება იმგვარად იქნეს განმარტებული, როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ ის, რომ „ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმი დღეისათვის წარმოადგენს ყველაზე დაბალშემოსავლიან და ქმედუუნარო სტრუქტურულ ერთეულს.” მუზეუმის შემოსავლების კლების მტკიცებულებად მოპასუხემ წარმოადგინა მუზეუმ-ნაკრძალების შემოსავლების გრაფიკები თვეების მიხედვით ორი წლის პერიოდზე, 2015 წლის ჩათვლით. ამ გრაფიკებიდან ჩანს, რომ 2013 წელს ფიროსმანის მუზეუმის წლიური შემოსავალი იყო 3 260.5 ლარი, 2014 წელს 3 785 ლარი, ხოლო 2015 წელს 3 695 ლარი. 2014 წელს ვიზიტორების რაოდენობა იყო 1596, ხოლო 2015 წელს 1706. ამ გრაფიკების მიხედვით არ დასტურდება მოპასუხის მტკიცება მუზეუმის შემოსავლების და ვიზიტორების კლებასთან დაკავშირებით. უმნიშვნელო განსხვავებები ციფრებში ფაქტიურად არაფერს ადასტურებს. შემოსავლების კლებაც რომ დასტურდებოდეს ეს არ შეიძლება გამხდარიყო განთავისუფლების საფუძველი. სასამართლო დაეთანხმა მოსარჩელეს, რომ ვერც ერთი მუზეუმი თავს ვერ ინახავს და



სახელმწიფოს დოტაციაზე დამოკიდებული, ტურისტული ნაკადების და შემოსავლების ზრდა არ არის მუზეუმის ძირითადი ამოცანა, რადგან მუზეუმს გააჩნია კულტურული და არა კომერციული დანიშნულება. მუზეუმის მდგომარეობა დამოკიდებულია როგორც მის ხელმძღვანელობაზე, ისე სახელმწიფოს მხრიდან მის დაფინანსებაზე და ქვეყანაში ტურისტული კუთხით არსებულ საერთო მდგომარეობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ არ დასტურდება მოპასუხის მტკიცება, რომ მუზეუმის ხელმძღვანელის მხრიდან უკანასკნელი პერიოდის მანძილზე არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები და არ წარმოდგენილა სააგენტოში რაიმე საპროექტო წინადადებები, რომელიც რეალურად მიმართული იქნებოდა მუზეუმის საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ. სასამართლოს განმარტებით მოსარჩელის მიერ საქმეზე დართული იქნა ა. მ.-ს სამსახურებრივი ბარათი და წერილი სააგენტოს სახელზე, სადაც იგი უთითებს მუზეუმის პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე, ითხოვს თანხების გამოყოფას სარემონტო სამუშაოებისათვის და ინვენტარის შესაძენად. მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ არაერთხელ შესთავაზა სააგენტოს ახალი პუბლიკაციების გამოცემა, რაზეც პასუხი ვერ მიიღო. სასამართლომ განმარტა, რომ „სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას, არ არის არც ა. მ.-სათვის საყვედურის გამოცხადება და არც ის, რომ სააგენტოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მუზეუმში მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და ახალი ღონისძიების დაგეგმვის მიზნით შეცვლილიყო მუზეუმის ხელმძღვანელობა. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ 2015 წლის 15 ივლისიდან სააგენტოს სტრუქტურაში არსებულ მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალში გამოცხადდა რეორგანიზაცია, რომლის ფარგლებში შრომითი ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე გაფრთხილებული იყო მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების ყველა თანამშრომელი. შესაბამისად, ა. მ. გაფრთხილებული იქნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად მისი შტატის შემცირების შემთხვევაში მოხდებოდა მისი განთავისუფლება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მუზეუმის მმართველის თანამდებობას რეორგანიზაცია არ შეხება, შტატი გაუქმებული არ ყოფილა, მაგრამ მოსარჩელე მაინც გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან სულ სხვა საფუძვლის მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დამსაქმებელს არ გააჩნდა სათანადო მართლზომიერი საფუძველი და შესაბამისად, მოსარჩელის სამუშაოდან დათხოვნა დამსაქმებლის მხრიდან იყო კანონშეუსაბამო გადაწყვეტილება. სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის XX ოქტომბრის №X/XXX ბრძანება იმ ნაწილში, რომელიც ეხება ა. მ.-ს.

მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით (სამუშაოზე აღდგენა) სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტზე და განმარტა, რომ სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.



სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წ. XX ოქტომბრის №X/XXX ბრძანების იმ ნაწილის ბათილად გამოცხადება, რომელიც ეხება ა. მ.-სათვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას, წარმოადგენს სამუშაოზე აღდგენის საფუძველს. საქმის მასალებით სასამართლომ დადაგენილად მიიჩნია, რომ რეორგანიზაციის შედეგად არ გაუქმებულა მოსარჩელის მიერ ადრე დაკავებული თანამდებობა და შესაბამისად იგი აღდგენილი უნდა იქნეს იმავე თანამდებობაზე. მესამე სასარჩელო მოთხოვნაზე (განაცდურის ანაზღაურება) სასამართლომ განმარტა, რომ როგორც აღინიშნა, უკანონოდ გათავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდური. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზარალის სრული ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ წინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებას. შესაბამისად იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო ექვემდებარება ანაზღაურებას სრული მოცულობით, კერძოდ სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგენამდე.

უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლება, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე გათვალისწინებულია - სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1982 წლის C 158 კონვენციის მე-10 მუხლით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 32-ე მუხლზე, რომელიც ადგენს, რომ თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით.

სასამართლომ დადაგენილად მიიჩნია, რომ ა. მ.-ს თანამდებობრივი სარგო განთავისუფლების დროისათვის (2015 წ. 30 ოქტომბერი) შეადგენდა 720 ლარს და იგი ყოველთვიურად (საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის შემდეგ) ხელზე იღებდა 576 ლარს. გათავისუფლების შემდეგ მას მიეცა ერთი თვის კომპენსაცია. ბრძანების გამოცემიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე განაცდური შეადგენს 4320 ლარს. ა. მ.-მ მოითხოვა კონკრეტულ ციფრში გამოხატული განაცდურის ანაზღაურება 3300 ლარის ოდენობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე მოითხოვდა.

3. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:

3.1. აპელანტის მითითებით სასამართლომ არ გაითვალისწინა და მხედველობაში არ მიიღო „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც პირველ რიგში აწესრიგებს მუზეუმების, განსაკუთრებით კი სახელმწიფო მუზეუმების საქმიანობას. აღნიშნული



გარემოება მნიშვნელოვანი იყო მოსარჩელის თანამდებობრივი პოზიციის მნიშვნელობის, მის მიმართ არსებული ვალდებულებების და მისი უფლება-მოვალეობის დადგენისთვის. აპელანტის განმარტებით ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის მუზეუმის მმართველი, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური ნიშნებით წარმოადგენს მხოლოდ დასაქმებულს, არის სახელმწიფო მუზეუმის ხელმძღვანელი, შესაბამისად, მის ვალდებულებას წარმოადგენს მუზეუმის საქმიანობა შეესაბამებოდეს მუზეუმების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს. სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გაითვალისწინა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი, არ შეაფასა ის ვალდებულებები, რაც მუზეუმების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად აკისრია მუზეუმს, ხოლო მუზეუმის მმართველი განიხილა როგორც მხოლოდ იქ დასაქმებული პირი.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება

4.1. საპელაციო პალატა სრულად ეთანხმება მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ დასკვნებს (წინამდებარე განჩინების 2.1. – 2.9. პუნქტები).

4.2. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 08 ივლისის № X/XXX ბრძანების მე-3 პუნქტის მიხედვით 2015 წლის 15 ივლისიდან სააგენტოს სტრუქტურაში არსებულ მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალში გამოცხადდა რეორგანიზაცია, ამავე ბრძანების მე-4 პუნქტის მიხედვით სააგენტოს გენერალურ დირექტორის მოადგილეს დ. ლ.-ს დაევალა ერთი თვის ვადაში მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი წინადადებების შემუშავება და ახალი საშტატო ნუსხის წარდგენა. ბრძანების მე-5



პუნქტით გათვალისწინებული იქნა შრომითი ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების ყველა თანამშრომლის გაფრთხილება.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 14 აგვისტოს #1/190 ბრძანებით 2015 წლის 08 ივლისის #1/157 ბრძანებით გათვალისწინებული ვადა გაგრძელდა 2015 წლის 15 სექტემბრამდე.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 15 სექტემბრის #1/221 ბრძანების საფუძველზე - 2015 წლის 08 ივლისის #1/157 ბრძანებით გათვალისწინებული ვადა გაგრძელდა 2015 წლის 01 ნოემბრამდე. ამავე ბრძანებით სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას დაევალა ბრძანების შინაარსის სააგენტოს სტრუქტურაში შემავალი მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალებში დასაქმებული ყველა თანამშრომლისთვის გაცნობის უზრუნველყოფა. (ტ.1.ს.ფ. 20-22, 24)

4.3. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის უფროსის ი. დ.-ს 2015 წლის 30 ივლისის სამსახურებრივი ბარათის პასუხად, ამავე სამსახურის უფროსს, სამსახურებრივი ბარათით მიმართა ა. მ.-მ, სადაც ეს უკანასკნელი განმარტავდა, რომ სახლ-მუზეუმის ნაგებობები საჭიროებს სარემონტო და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას, სხვადასხვა სახის გამოფენის ჩატარების მიზნით კი მუზეუმი საჭიროებს ინვენტარის გამოყოფას. ამავე ბარათში ა. მ. უთითებდა, რომ ასეთი ღონისძიებების ჩატარება ხელს შეუწყობს მუზეუმის პოპულარიზაციას. (ტ.1.ს.ფ. 42-44)

4.4. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 17 აგვისტოს №1/195 ბრძანებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შინაგანაწესის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალის სამსახურის უფროსის ი. დ.-ს მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახ. სახლმუზეუმის მმართველს ა. მ.-ს სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო საყვედური გამოეცხადა. (ტ.1.ს.ფ.23)

4.5. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებით 2015 წლის 01 ნოემბრიდან ა. მ.-ს, როგორც ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის მმართველს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე. (ტ.1.ს.ფ. 15)

4.6. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებით დ. ლ.-ს გენერალური დირექტორის მოადგილეს 2015 წლის 01 ნოემბრიდან დაევალა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის მმართველის მოვალეობის დროებით, უსასყიდლოდ შესრულება.



საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

პალატა განმარტავს, რომ სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად.

სადავო ბრძანების წერილობითი დასაბუთების მიხედვით ა. მ.-სთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი ამ უკანასკნელის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება გახდა. კერძოდ, რეორგანიზაციის დროს მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, სააგენტოს მიერ განხილული იქნა თითოეული მუზეუმის და მუზეუმ-ნაკრძალის, მათ შორის მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის საქმიანობაც. მიუხედავად, ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული არაერთი ღონისძიებისა, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი ყველაზე დაბალ შემოსავლიან და ქმედუუნარო სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა. მუზეუმის ხელმძღვანელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ისეთი საპროექტო წინადადების წარდგენას, რომელიც რეალურად მიმართული იქნებოდა მუზეუმის გაცოცხლების და მისი საქმიანობის განხორციელებისკენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს. პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებისას მტკიცების ტვირთი ნაწილდება ობიექტურად და სამართლიანად. მტკიცების ტვირთის განაწილების ობიექტური და სამართლიანი სტანდარტი განაპირობებს მოსარჩელისა და მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების წრის განსაზღვრას, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მხარის მიერ მტკიცების ობიექტური განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნულ პრინციპს ეფუძნება დადებითი მოვლენის მტკიცების ვალდებულება ნეგატიური მოვლენის მტკიცების შეუძლებლობის გამო. ნიშანდობლივია, რომ შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. მოსარჩელე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება მასზედ, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს და დამსაქმებელს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას აკისრებს. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს შემდეგი ძირეული პრინციპიდან, კერძოდ, დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა მუშაკმა შრომითი მოვალეობებს ვერ გაართვა თავი, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა,



ვიდრე მუშავს, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას მასზე, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე ვალდებულია სათანადო მტკიცებულებებით დაადასტუროს ა. მ.-ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი.

აღნიშნულის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილია ა. მ.-სთვის სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო მისთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის XX აგვისტოს ბრძანება. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილია დოკუმენტი 2013-2015 წლებში მუზეუმ-ნაკრძალებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ 2013 წელს მუზეუმის წლიურმა შემოსავალმა შეადგინა - 3 260.5 ლარი, 2014 წელს - 3 785 ლარი, ხოლო 2015 წელს - 3 695 ლარი. 2014 წელს ვიზიტორების რაოდენობა - 1 596, ხოლო 2015 წელს - 1 706 იყო. ამდენად, 2013 -2015 წლებში მიღებული მუზეუმის შემოსავალი თითქმის ერთგვაროვანია, თუმცა მცირედით გაუმჯობესება მაინც შეინიშნება. ნიშანდობლივია, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა, რომ სადავო პერიოდში მუზეუმს მეტი ვიზიტორის და შესაბამისად შემოსავლის მიღების რესურსი გააჩნდა, კერძოდ, მიუხედავად შესაგებელში მითითებისა, საქმის მასალებით არ დასტურდება მუზეუმის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით სააგენტოს მხრიდან კონკრეტული ღონისძიებების გატარების ფაქტი, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ საქმეში წარმოდგენილია ა. მ.-ს სამსახურებრივი ბარათი, სადაც ეს უკანასკნელი მუზეუმში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე, მათი აღმოფხვრის მექანიზმებსა და მუზეუმის პოპულარიზაციის გაზრდის გზებზე უთითებს. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ სამსახურებრივ ბარათში დასახელებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით სააგენტოს მხრიდან გატარებული იქნა კონკრეტული ღონისძიებები.

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის მეოთხე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად მუზეუმი არის – კანონით დადგენილი წესით შექმნილი (დაფუძნებული) ან/და რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, დაცვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია;

ამავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად სახელმწიფო მუზეუმი ვალდებულია უზრუნველყოს: ა) სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა; ბ) მუზეუმის ფონდის აღრიცხვა და სისტემატიზაცია; გ) სამუზეუმო ექსპონატების პუბლიკაცია; დ) სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება; ე) სამუზეუმო ექსპოზიციების და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება.

პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელ თანამდებობაზე ა. მ.-ს ყოფნის პერიოდში მუზეუმის მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტი.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის შესაბამისად, შრომა თავისუფალია. სახელმწიფო



ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.¹

შრომის თავისუფლება და სხვა სოციალური უფლებები ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდება და, საერთოდ, ძირითადი უფლებების განხორციელების წინაპირობაა. ამ კატეგორიის უფლებების მნიშვნელობის გააზრების საფუძველზე და მათი უზრუნველყოფის მიზნით, ჩამოყალიბდა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაშიც აისახა. ასეთი უფლებებისა და განვითარების დაცვის გარეშე წარმოუდგენელია სოციალური სახელმწიფოს არსებობა. სწორედ ამ ფუნქციის შესრულებას სოციალური სახელმწიფოს დანიშნულება.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, „შრომა თავისუფალია“, რაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო“ (გადაწყვეტილება N2/4-24,28.02.1997)². ასევე, „შრომის თავისუფლებაში იგულისხმება სახელმწიფოს ვალდებულება, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცას მათი შრომითი უფლებები“ (გადაწყვეტილება N2/2- 389,26.10.2007)³. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე კონსტიტუციის პირველი პუნქტით დაცულია არამარტო უფლება, აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება, განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“⁴.

პალატა განმარტავს, რომ დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია დამსაქმებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებებით კეთილსინდისიერად სარგებლობა. დამსაქმებელი კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას უფლებამოსილია შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა, აღნიშნული უფლება უნდა განხორციელდეს ჯეროვნად, კანონით გათვალისწინებული დანაწესის ზუსტი დაცვით და თანაც, ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ Ultima Ratio - ს პრინციპის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული.

იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელესთან შრომის ხელშეკრულება დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის საფუძველით შეწყდა, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ

¹ ი. ბურდული, ე. გოგირიძე და სხვებ. „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი“, თავი მეორე, თბილისი, 2013, გვ.362-363

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (1996-1997), 2002, გვ.57-58

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (2006-2007), 2009, გვ.226

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (2006-2007), 2009, გვ.249



მოპასუხის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ა. მ.-ს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი, რომ უკანასკნელი პერიოდის მანძილზე მისი მხრიდან არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები და არ წარმოდგენილა რაიმე საპროექტო წინადადებები. პალატა ასკვნის, რომ არ არსებობდა ა. მ.-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. მითითებული ნორმიდან, ასევე წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე შრომითი ხელშეკრულების არაკანონიერად შეწყვეტასთან დაკავშირებით, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო მოსარჩელის დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის და ამასთანავე, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველი. პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა სარჩელი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატა ასკვნის, რომ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

5.1. პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველებს, ამდენად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

6. საპროცესო ხარჯები

6.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება.



3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით.

4. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას, ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს განჩინების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე

გოგიტა თოთოსაშვილი

მოსამართლეები:

თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

ვანო წიკლაური